# სალერნოს უნივერსიტეტის (იტალია) საბაკალავრო და სამაგისტრო სტიპენდიები 2014/2015 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისთვის

საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ-ს ჰუმანიტარულ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ფსიქოლოგიისა და განათლების, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიული ფაკულტეტების ბაკალავრიატის II და III და მაგისტრატურის I კურსის სტუდენტებისთვის სალერნოს უნივერსიტეტში ერთი სემესტრით სწავლის უფლების მოსაპოვებლად.

**შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა იტალიური ენის ცოდნა!!**

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

- CV (ქართულ და იტალიურ ენებზე)
- მოტივაციის წერილი (იტალიურ ენაზე, 5 ეგზემპლარად)
- აკადემიური მოსწრების ფურცელი (ქართულ ენაზე, დეკანატის ბეჭდით დამოწმებული)
- რეკომენდაცია (ქართულ ენაზე)
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
- პასპორტის ასლი

მიმღები უნივერსიტეტი კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტს:

- უფასო სწავლა
- ოთახი საუნივერსიტეტო საერთო საცხოვრებელში
- კვების ბარათი

**საბუთების მიღების ბოლო ვადა: 2014 წლის 25 ნოემბრის 16 საათი**

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და დოკუმენტების ჩასაბარებლად მიმართეთ ანი ჭელიშვილს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ-ს პირველი კორპუსი, 121-ე ოთახი)

**შენიშვნა: დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!**